ხელშეკრულება 21.02.2019/2
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.გორი 21.02.2019 წ.

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში-შემსყიდველი) **(ს/კ:418471031)** წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ოდისეა" **(ს/კ:400184019)** (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ყანჩაშვილის სახით **გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. სააგენტოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბიბლიოთეკო ფონდისთვის წიგნის შესყიდვა

#	შესყიდვის კატეგორია	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენ.	ერთ.ფასი	სულ ფასი
1	22113000	წიგნი ,,ძველი ქართული სამკაული	ცალი	1	59,9	59,9
						59,9

2.ხელშეკრულების ღირებულება

21 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 59,9 (ორმოცდაცხრამეტი ლარი და 90 თეთრი) **ლარს.**
2.2 ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
2.3 დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

4..1.მომსახურების მიწოდება განხორციელდება: **2019 წლის 25 თებერვლამდე**
4.2.მომსახურების გაწევის ადგილია: **ქ. გორი, სტალინის 16**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1'შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებას, ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სააგენტოს სამეურნეო სამსახურის სპეციალისტი-ნიკოლოზ მახარობლიძე.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარებიდა და შესაბამისი ანგარიშფაქტურისა ან სასაქონლო ზედნადების აქტის საფუძველზე.
6.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან და შესაბამისი საგადახდო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.3.შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
7.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 21 თებერვლიდან და მოქმედებს 2019 წლის 22 აპრილის ჩათვლით

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11 ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 2019 წლის 1 იანვრიდან, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

_____

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
კულტურისა და ტურიზმის განვითარების
ხელშეწყობის სააგენტო
მის: გორი, სტალინის 16
საიდენტიფიკაციო კოდი: 418471031
მომსახურება ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მომსახურე ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 35041000

მიმწოდებელი

_____

შპს „ოდისეა“
მის: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 16ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 400184019
მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი”
მომსახურე ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიში: GE55BG0000000266288100

დირექტორი გელა კაპანაძე

Gela Kapanadze

Digitally signed by Gela Kapanadze
Date: 2019.02.21 15:57:43 +04'00'

დირექტორი დავით ყანჩაშვილი